"მე შენ მიყვარდი, შენ მნამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო"...

# ნიკოლაძის გზით



ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი №6 (295) 29 ივნისი, სამშაბათი, 2021 წელი; ფასი 1 ლ.

## ორად გაყოფილი ორსახოვანი საქართველო

ქვეყნის პრობლემა „ოცნების" უნიათობით ალორძინებული „ნაცები", მათი ამომრჩეველი და მხარდამჭერი ტელევიზიებია.



,,ოცნებამ" ,,ნაცებს" ერთი ბარტყი გადაუგდო, თუმცა, გაუფრინდათ!

სახელმწიფო მშენებლობის ქართული პოლიტიკის აფსურდის თეატრი

**ოცნებაში ჩავლილი 30 წელი-ხალხი ისევ მძიმე ტვირთს მიათრევს, მავანთა უნიჭობის და გაუტანლობის გამო**

20 ივნისი - საუკეთესო დრო გადატრიალებისათვის, მაგრამ გახარიამ არ დაუშვა იგი-შემდეგ რა მოუვიდა?

მე-2 გვ



## გიორგი გუგუჩია დაინიშნა სამეგრელო-ზემოსვანეთის გუბერნატორად

**რედაქციისაგან**

წარმატებებს ვუსურვებთ გამოცდილ სახელმწიფო მოღვაწეს, ბატონ გიორგი გუგუჩიას ყველაზე მრავალრიცხოვანი მხარის - სამეგრელო-ზემოსვანეთის სულიერი, სოციალური, კულტურული და ეკონომიკური განვითარებისათვის საზოგადოების გაერთიანების საქმეში.

მე-3 გვ

## ფოთის მერს ახალი მოადგილეები ჰყავს

**ალექსანდრე ტყებუჩავა** და **ზაქარია გვრიტიშვილი**

მე-3 გვ



## უზბეკეთის დელეგაცია ფოთში

მე-3 გვ





## ფოთის საზღვაო აკადემიას ევროკავშირის ელჩი კარლ ჰარცერი ესტუმრა

მე-4 გვ



## მილოცვა პაატა გეგენავას

კაზაკთა ხალხის გმირის წოდების მინიჭების და ოქროს ვარსკვლავით დაჯილდოების გამო

მე-2 გვ

## საკრებულოს თავმჯდომარე ბექა ვაჭარაძე და მერის მოადგილე ზაქარია გვრიტიშვილი სამელიორაციო სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო

მე-4 გვ





**მილოცვა**

## ბადრი ბასილაია - 70

**წარდგენილია ფოთის საპატიო მოქალაქის წოდებაზე**

50 წლის წინათაც იზრდებოდა ჯანსადი თაობა

**ჩვენი ფეოლა-ბადრი ბასილაია**

მე-5 გვ

**ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სხდომათა დარბაზში სხვადასხვა ღონისძიებებში გამარჯვებული ახალგაზრდების და სკოლის წარჩინებულ მოსწავლეთა დაჯილდოება გაიმართა.**



მე-3 გვ

## თამარ ფაჩულიას საავტორო სკოლა-გიმნაზიამ მისამართი შეიცვალა-ქვეყნის დედაქალაქი

მე-4 გვ



**თამაზ ბურსულაია**



**„ტყე შეუნახე შვილებსა, მამა ხარ შენი ვალაია"**

## მცენარეთა როლი გარემოს დაცვის საქმეში

მე-6გვ



**დავით ჩირგაძე**

## ტრადიციების ქალის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით

მე-6 გვ

**გამოსათხოვარი**

„რა საოცარი დასრულდა წლები"

## ოთარ აბდუშელიშვილი

მე-7 გვ



..ჯახსა ჩათა ჯლავ სიჯვილო, თავვლას ჯია ჯვლებია"?

## *თემური ოდიშარიას ხსოვნას 5 წელი უშენოდ... 55 წლის გახდებოდი*

მე-7 გვ



ორად გაყოფილი ორსახოვანი საქართველო

## ქვეყნის პრობლემა „ოცნების" უნიათობით აღორძინებული „ნაცები", მათი ამომრჩეველი და მხარდამჭერი ტელევიზიებია.

## ,,ოცნებამ" ,,ნაცებს" ერთი ბარტყი გადაუგდო, თუმცა, გაუფრინდათ!

## სახელმწიფო მშენებლობის ქართული პოლიტიკის აფსურდის თეატრი

# ოცნებაში ჩავლილი 30 წელი-ხალხი ისევ მძიმე ტვირთს მიათრევს, მავანთა უნიჭობის, უნიათობის და გაუტანლობის გამო

## 20 ივნისი- საუკეთესო დრო გადატრიალებისათვის, მაგრამ გახარიამ არ დაუშვა იგი-შემდეგ რა მოუვიდა?



გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს მეტი ეკონომიკური საფუძველი ჰქონდა ვიდრე ამავე საუკუნის დასაწყისში. პოსტსაბჭოურმა ქვეყნებმა კარგად გამოიყენეს იგი. საქართველომ 30 წელი დაპირისპირებებს მოანდომა.ფსევდოდემოკრატია ფსევდორეფორმები,პროვოკაციები და გადატრიალებები,პოლიტიკური ცხოვრების მახასიათებლად იქცა. ქვეყნის ინტერესები უკანა პლანზე გადავიდა, ისე რომ, პოლიტიკა ცალკეა, ხალხი-ცალკე. თავისივე არჩეული ხელისუფლება ხალხს ივიწყებს და არც ხალხს აქვს რამე მექანიზმი ასეთი ხელისუფლების უკან გასაწევად. ფსევდო დემოკრატიამ მოიტანა ავტორიტარული რეჟიმი.რითაც იზარალა ქვეყანამ მატერიალური და მორალური თვასაზრისით ეს იყო დაკარგული წლები, დაუსწრებელი ცხოვრება, ღარიბი ხალხით და მილიონერთა პარლამენტით. ამას მოჰყვა არაფორმალური მმართველობა, როცა ,,ნაციონალები" იგივე ბრალდებას უყენებდა ,,ოცნებას", რასაც ,,ოცნება"-,,ნაციონალებს". პიროვნების კულტი და მექანიზმი, ორივე შემთხვევაში მთავარ ატრიბუტად იქცა პოლიტიკურ ცხოვრებაში. შიდა წინააღმდეგობები ყოველგვარ კანონზომიერებას გაცდა და აუცილებელი გახდა გარე ძალების ჩარევა. ქვეყანა მიშელის დოკუმენტით ცხოვრობს. არადა, ქართულმა საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის ზემოაღნიშნული ფაქტორების შესახებ - სასამართლო დამოუკიდებლობა არცერთ ხელისუფლებას არ აწყობს და ვიდრე ასე იქნება, იქნება კორუფცია და რეგრესი - სოციალური აფეთქების მოლოდინი. რაც შეეხება ბოლო მოვლენებს,აშკარაა მმართველი პარტიის სავალალო რყევები. პარტიის ლიდერი, მთავრობის მეთაური მოღალატის რანგში განიხილება.გიორგი გახარიას ბრალდება 20 ივნისის მოვლენები ტრაგიკული შედეგებით. პარლამენტზე შტურმის მიმტანი მელია და პარლამრნტის დამცველი გახარია ერთ სიბრტყეში განიხილება. დავუშვათ გახარიას უწყებას არ გაეწია წინააღმდეგობა ,,შტურმავიკებზე" მაშინ სად იქნებოდნენ დღეს პარლამენტარები, იქნებ გადატრიალება რეალურად განხორციელებულიყო. თუ ეს განწყობა ჰქონდა და ღალატს აპირებდა ამ მომენტს არ გაუშვებდა ხელიდან. შემდეგ რომ მელიას დაკავების ორი დღის გადავადების გამო რომ დააბრალეს.გამოდის ,,ოცნებამ" ერთი ბარტყი გადაუგდო ,,ნაცებს". ეტყობა გახარიას არ უნდოდა მეორედ ყოფილიყო განტევების ვაცი, დაღვრილიყო სისხლი მელიას დაკავებისას, რაც მოსალოდნელი და გარდაუვალი იყო პროვოკატორთა გამო. ივანიშვილმა მის ზარს არ უპასუხა, მართვის სადავეები არაფორმალურად პარტიის ხელში აღმოჩნდა, გახარია-გადადგა. ,,ნაცები" ახლაც მაშველ რგოლად მოევლინა ,,ოცნებას" არჩევნების წინ, ალბათ, სააკაშვილს საზღვართან მოიყვანენ საფრთხობელასავით, რომ ხალხს სხვა არჩევანი არ ჰქონდეს. თუმცა, ქვეყანა მაინც ახალი ეროვნული ძალის მოლოდინშია. იქნება კი ეს გახარიას პარტია?პარტიის მშენებლობას დიდი დრო სჭირდება, თანაც გახარიას ბევრ კითხვაზე აქვს პასუხი გასაცემი, ის იოლად მოვიდა ხელისუფლებაში და იოლად გაუშვეს. ახლა კი საკუთარი ძალებით ცდილობს მობრუნებას. მაინც ვისი პროექტია გახარიას? რუსეთის? ივანიშვილის? თუ ევროპის? მას საკმაოდ მაღალი რეიტინგი ჰქონდა ხელისუფლებაში ყოფნისას, შეინარჩუნებს თუ არა ამას ადგილობრივი არჩევნები გასცემს პასუხს, როცა ,,ოცნება" 43 პროცენტზე აპირებს გასვლას, რაც თითქმის იგივეა, რაც ერთად აღებული ყველა პარტია.ქვეყანაში უნდა დამთავრდეს ერთპარტიული მთავრობა და პარლამენტი. ეს ამბიციები აწუხებს ,,ნაციონალებსაც" მათ სახელისუფლებო ბერკეტები უნდათ და არა საპარლამენტო მოღვაწეობა. ანუ წვდომა მთელ ქვეყანაზე. ამიტომაც ხელისუფლებაში უნდა მოვიდნენ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანები რომელთათვის მთავარი ქვეყნის წინსვლაა. და არა დაპირებებით მანიპულირება.თავისუფალი დემოკრატიული არჩევნები სახელმწიფო განვითარების გარანტიაა. რევოლუციურ ხელისუფლებებს ევოლუცია არ მოაქვს. სამწუხაროდ, პოლიტიკურ ასპარეზზე ისევ რჩებიან სააკაშვილის ნარჩენები, როგორც ვიღაცის მამაძაღლები, როგორც ამერიკელები იტყვიან ხოლმე, მაგრამ საჭირო მამაძაღლები. სააკაშვილი არ ეშვება თავის პარტიას. ,,ოცნება"- კი დატოვა ივანიშვილმა, გახარიამ, შეიცვალა პარლამენტის თავმჯდომარეები არის დაპირისპირება და ბრალდებები. ისევ სახელისუფლებო რესურსების იმედად არიან,მთელი რიგი უწყებები იცავენ ხელისუფლების და არა სახელმწიფო ინტერესებს, ეს უნდა დამთავრდეს თუ გვინდა სამართლიან სახელმწიფოში ცხოვრება.

ფსევდოდემოკრატიამ თავისუფალი სამართლიანი მედია დაასამარა, დარჩა კერძო პირების ტენდენციურ-კორუფციული ტელევიზიები. ერთი აგინებს ხელისუფლებას, მეორე-აქებს, მესამე-სამართლიანი, ეროვნული, თავისუფალი მედია არ ჩანს.

რუსეთი ოკუპანტია და ასეთად დარჩება მსოფლიოს თვალში. მაგრამ ოკუპანტის აგრესიის, პატრიოტიზმის გამოყენება ქვეყნის ასარევად და ხელისუფლებაში მოსასვლელად ოკუპანტის აგრესიაზე უარესია. ესაა ძალადობრივი რეჟიმი ნეოფაშიზმი-ნეოლიბერალიზმით. ეს გზა ქვეყანამ გაიარა.

20 ივნისი იყო გულწრფელი ხალხის პროტესტი, რომელიც სააკაშვილის დანაშაულებრივმა რეჟიმმა გამოიყენა სახელმწიფო გადატრიალებისათვის, თუმცა, სააკაშვილის და გახარიას ერთ სიბრტყეში დაყენება ყველაზე უფრო ,,ოცნებას" დააზარალებს, რამეთუ სახელმწიფო გადატრიალებისათვის, ღალატისათვის ეს საუკეთესო მომენტი იყო. გახარიამ ქვეყანა სამოქალაქო ომს გადაარჩინა.

30 წელი გავიდა დაპირებებში,ისევ დაპირებებით აშენებენ ანაკლიას, ასობით საწარმოს, თუმცა, ამით თავად არაფერი არ აკლდებათ, საკითხავია ვისი ოცნება ასრულდა?

პარლამენტი, სადაც ნაცები, გირჩი და ვითომ სოციალისტებია დემოკრატიული და მრავალპარტიულია? პარლამენტი, სადაც უმრავლესობის უმრავლესობა მილიონერია, ბიზნესმენია - პოლიტიკური უწყებაა? საკანონმდებლო ორგანოა? სადაც პირველი პირი მოღალატედ ცხადდება, რაც არ ახსოვს დემოკრატიის ისტორიას, იქნებ ისედაც უნდა ჩატარდეს ვადამდელი არჩევნები. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პოლიტიკის ეფექტიანობა ეკონომიკური შედეგებით იზომება. გვაქვს თუ არა ეკონომიკა ამას უმუშევართა საკმაოდ დიდი რაოდენობა მოწმობს, როცა პარტია ხელისუფლებაში მოდის ის მხოლოდ მისი პარტიის წევრებისა და მხარდამჭერების დასაქმებაზე არ უნდა ზრუნადეს, იგი ყველას ხელისუფლებაა.

არაეროვნული ფსევდომთავრობა რუსეთსაც აწყობს და ამერიკასაც, რადგანაც ეროვნული მთავრობა ერისა და ქვეყნის საქმეს აკეთებს, სამწუხაროდ ეს ძალა არ ჩანს ან არ უშვებენ პოლიტიკურ ასპარეზზე.

ზ. აბრალავა

### ქალაქის უბანი აფეთქებას გადაურჩა

### წყალსადენ-კანალიზაციის მშენებლებმა გაზ-გაყვანილობის მთავარი არტერია დააზიანეს



წყალსადენ-კანალიზაციის საუკუნის პროექტი ნელი ტემპით ხორციელდება, გადათხრილი ქუჩები დისკომფორტს უქმნის ფოთელებს. თვეობით უწევთ მტვერისგან თავის დაცვა ჩაკეტილი ფანჯრებით. ამას ემატება ავარიული შემთხვევები. 24 ივნისს, ჟვანიას და ისრაელის ქუჩის გადაკვეთაზე წყალსადენ-კანალიზაციის მშენებლებმა სანიაღვრე არხის გათხრისას გაზსადენის მთავარი მაგისტრალი დააზიანეს. რამდენიმე წუთში საკმაოდ დიდ პერიმეტრზე აუტანელი სუნი დადგა. უბანი აფეთქებას გადაურჩა. გაზისს კპმპანიის წარმომადგენლებმა სწრაფად აღადგინეს დაზიანება. სამომავლოდ ამ ორმა უწყებამ შეთანხმებულად უნდა იმუშაოს, რათა გამოირიცხოს მსგავსი რამ, რაც შეიძლება ძვირად დაუჯდეს ქალაქს.

მილოცვა პაატა გეგენავას

## კაზაკთა ხალხის გმირის წოდების მინიჭებისა და ოქროს ვარსკვლავით დაჯილდოების გამო



კაზაკთა მსოფლიო კავშირის საბჭოს წევრის, კაზაკთა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტის, უკრაინის პრეზიდენტთან არსებული კაზაკთა რადის წევრის, უკრაინის კაზაკთა ნაციონალური რადის თავმჯდომარის, უკრაინის მინისტრთა კაბინეტთან არსებული კაზაკთა საკოორდინაციო რადის წევრის, „კაზაკთა უკრაინული პარტია" -ს თავმჯდომარის, კაზაკი ხალხის გმირის, არმიის გენერალ მიხაილო ივანეს ძე იამნენკოს უნივერსალური სიგელით "ღვთის ნებით კაზაკი ხალხის სახელით და კაზაკთა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით, უკრაინელი და ქართველი კაზაკების ურთიერთობის განმტკიცებაში შეტანილი დიდი წვლილისთვის, კაზაკთა საერთაშორისო მოძრაობის განვითარებისა, კაზაკთა ერთობის ისტორიული, სულიერი, პატრიოტული და სახალხო ტრადიციების აღორძინებისა, სამხედრო თვით ორგანიზების სრულყოფისათვის გამოჩენილი პირადი ძალისხმიერებისათვის და ამაგისათვის ჩვენს თვალსაჩინო თანამოქალაქეს, ღირსეულ სამართალდამცველს და ვეტერანს, საქართველოს ვეტერანთა ცენტრალური კავშირის ფოთის საქალაქო კავშირის თავმჯდომარეს, საქართველოს კაზაკთა გაერთიანების სამეგრელო - ზემო სვანეთის მთავარ ატამანს, ფაზისის საერო -სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსს, გენერალ -მაიორ **პაატა ვაჟას ძე გეგენავას** მიენიჭა „კაზაკთა ხალხის გმირის" წოდება და დაჯილდოვდა „გმირის ოქროს ვარსკვლავით" რომელიც მას გადაეცა უკრაინის დედაქალაქ კიევში გამართულ საზეიმო ღონისძიებაზე. ამავე ღონისძიებაზე იგი არჩეულ იქნა კაზაკთა საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსად.

ბატონი პაატა გეგენავა უკრაინის საგანგებო სიტუაციების სამინისტროს სამოქალაქო თავდაცვის ეროვნული აკადემია წარჩინებით დაამთავრა 1981 წელს, რექტორის - გენერალ -ლეიტენანტ ვლადიმერ პეტრეს ძე სადკოვოის ბრძანებით დაჯილდოვდა აკადემიის დაარსების 90 წლის საიუბილეო მედლით და აკადემიის საპატიო ჯვრით,რომელიც მას გადაეცა ქალაქ ხარკოვში აკადემიაში გამართულ საიუბილეო ღონისძიებაზე.



ვულოცავთ ბატონ პაატას ამ დიდ დაფასებას და ახალ წარმატებებს ვუსურვებთ ქვეყნის სამსახურში.

გაზეთ ,,ნიკოლაძის გზით" რედაქცია

## პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის პოსტზე გიორგი გუგუჩია წარადგინა



„შეიცვალა ორი გუბერნატორი, სამეგრელო-ზემო სვანეთში და შიდა ქართლში ახალი გუბერნატორები გვყავს. **გიორგი გუგუჩია** სამეგრელო-ზემო სვანეთის ახალი გუბერნატორია, ის არის ზუგდიდიან, კარგად იცნობს რეგიონს და მჯერა, ძალიან წარმატებული გუბერნატორი იქნება. შიდა ქართლში წარმოგიდგენთ ვალერიან მჭედლიძეს, რომელიც არის გორიდან, საჯარო სექტორის წარმატებული თანამშრომელია. ის ხელმძღვანელობდა დაცული ტერიტორიების სააგენტოს და იყო **ლევან დავითაშვილის** წარმატებული თანამშრომელი,“ - განაცხადა ღარიბაშვილმა.

## უზბეკეთის დელეგაცია ფოთში



ფოთს უზბეკეთის რესპუბლიკის დელეგაცია სტუმრობდა. ქალაქ ფოთის მერი გოჩა კურდღელია, მერის მოადგილე მამუკა პაპასკირი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილესთან გურამ გურამიშვილთან ერთად, უზბეკეთის ინვესტირებისა და ვაჭრობის მინისტრის მოადგილეს ბახტიერ რახიმოვს, აზერბაიჯანში უზბეკეთის ელჩს ბახრომ აშრაფხანოვს, უზბეკეთის მთავრობისა და მსხვილი კომპანიების წარმომადგენლებს შეხვდა.

სტუმრები ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონით, ნავსადგურისა და ლოჯისტიკური კომპანიების მუშაობით დაინტერესდნენ.

უზბეკეთის რესპუბლიკის წარმომადგენლები თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მუშაობას გაეცნენ და იქ არსებული საწარმოები დაათვალიერეს.

## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სხდომათა დარბაზში სხვადასხვა ღონისძიებებში გამარჯვებული ახალგაზრდების და სკოლის წარჩინებულ მოსწავლეთა დაჯილდოება გაიმართა.



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა კურდღელიამ, მერის პირველმა მოადგილემ ალექსანდრე ტყებუჩავამ, საკრებულოს თავმჯდომარე ბექა ვაჭარაძემ სკოლის წარჩინებულ კურსდამთავრებულებს მერიის ჯილდო გადასცეს:

თეკლა დუნდუას (3 საჯარო სკოლა);
სოფიო ბასილაიას (3 საჯარო სკოლა);
ლუკა ამბალიას (6 საჯარო სკოლა);
ლევან ლოლუას (წმ. ნიკოლოზის სკოლა),
ალექსანდრე ვაშაკიძეს (1 საჯარო სკოლა);
შორენა შურღაიას (2 საჯარო სკოლა);
ნინო ადამია (4 საჯარო სკოლა);
ირაკლი ჩარგაზია(5 საჯარო სკოლა)
მარიამ დანელია( 7 საჯარო სკოლა);
მეგი გუგუსიანი (8 საჯარო სკოლა);
ლიზი გამისონია (12 საჯარო სკოლა);
ანა მიქაძე (15 საჯარო სკოლა);
ქრისტინე ზუბცოვა (შპს, გიმნაზია);
თინათინ გოგუაძე (სსიპ კოლეჯი „ფაზისი)

ქალაქ ფოთის მერმა გოჩა კურდღელიამ კურსდამთავრებულებს სწავლის წარჩინებით დასრულება მიულოცა, ეროვნულ გამოცდებზე სასურველი შედეგები და უმაღლეს სასწავლებელში წარმატებები უსურვა.

2020-2021 სასწავლო წელს ფოთში 370 კურსადამთვრებულია, მათგან 29 ოქროსა და ვერცხლის მედლების კანდიდატია.

## ქალაქ ფოთის მერის პირველი მოადგილე ალექსანდრე ტყებუჩავა სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ხელმძღვანელებს შეხვდა,



სკოლამდელი აღზრდის სფეროში განხორციელებულ და მიმდინარე რეფორმებზე , მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღებში არსებულ მდგომარეობაზე, გასული წლის შედეგებსა და სამომავლოდ დაგეგმილ ღონისძიებებზე ისაუბრა.

„ ფოთში სკოლამდელი განათლების მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. მათ შორის, აშენდა საბავშვო ბაღი მალთაყვის უბანში, განხორციელდა საბავშვო ბაღების გაზიფიცირება და გათბობის სისტემის მონტაჟი.

მიმდინარე წელს ქალაქს ორი ახალი, თანამედროვე სტანდარტების საბავშვო ბაღი დაემატება, 9 აპრილის ხეივანზე და ბარათაშვილის ქუჩაზე.

ჩვენი გუნდი კვლავაც აქტიურად გააგრძელებს საბავშვო ბაღების ინტრასტრუქტურის მოწესრიგებას, აღმზრდელების კარიერულ განვითარებასა და სოციალურ ბენეფიტებზე ზრუნვას“-განაცხადა შეხვედრაზე მერის პირველმა მოადგილემ.

## ფოთის მერს ახალი მოადგილეები ჰყავს ალექსანდრე ტყებუჩავა და ზაქარია გვრიტიშვილი



ქალაქ ფოთის მერმა გოჩა კურდღელიამ, მუნიციპალიტეტში გამართულ ორშაბათის თათბირზე ახალი მოადგილეები -**ალექსანდრე ტყებუჩავა** და **ზაქარია გვრიტიშვილი** წარადგინა.

ქალაქ ფოთის მერის პირველ მოადგილედ ალექსანდრე ტყებუჩავა დაინიშნა.

**ალექსანდრე ტყებუჩავა** სპეციალობით სამართალმცოდნეა. აქვს საჯარო სექტორში მუშაობის გამოცდილება. იგი 2018 წლიდან ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის, მონიტორინგის განყოფილების უფროსის თანამდებობას იკავებდა.

ალექსანდრე ტყებუჩავა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ ფოთის საქალაქო ორგანიზაციის აღმასრულებელი მდივანია.

ალექსანდრე ტყებუჩავა საფინანსო-საბიუჯეტო, კულტურისა და სპორტის სფეროს უხელმძღვანელებს.

**ზაქარია გვრიტიშვილი** სპეციალობით სამართალმცოდნეა. აქვს საჯარო სამსახურში მუშაობის გამოცდილება. ეკავა სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საკითხებში ქალაქ ფოთის მერის თანაშემწის, ადმინისტრაციული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობები. იგი ბოლო წლებში კერძო სექტორში იყო დასაქმებული.

2019 წლიდან -2021 წლის 7 ივნისამდე ეკავა შპს “ბევრილი ჯგუფის“ გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობა.

ზაქარია გვრიტიშვილი ინფრასქტრუქტურული პროექტების მართვის, არქიტექტურისა და ადმინისტრაციული ზედამხედველობის სფეროს უხელმძღვანელებს.

## ფოთის საზღვაო აკადემიას ევროკავშირის ელჩი კარლ ჰარცერი ესტუმრა



25 ივნისს ფოთის საზღვაო აკადემიას ევროკავშირის ელჩი კარლ ჰარცერი ესტუმრა, რომელმაც საზეიმო ვითარებაში „ნიკო ნიკოლაძის“ სახელობის ბიბლიოთეკა გახსნა და საზღვაო აკადემიის სტუდენტებს მეზღვაურობაზე და მის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობებზე ესაუბრა. კარლ ჰარცერი, ასევე საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს შეეხო „დღეს საქართველოში ჩამოდიან სამი ევროკავშირის ქვეყნების, ავსტრია, ლიეტუა და რუმინეთის მინისტრები რომლებსაც მე შევხვდები და გვექნება სხვადასხვა სახის დისკუსიები რეგიონებთან დაკავშირებით, ფართო რეგიონალურ საკითხებზე’’ განაცხადა ევროკავშირის ელჩმა.ევროკავშირის ელჩმა, ასევე საქართველოს პარლამენტში მიმდინარე პროცესებზე, შესაძლო პოლიტიკურ კრიზისზე და პარტია „ლელოს“ ულტიმატუმზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ,კარგი იქნება თუ მმართველი პარტია დაფიქრდება 19 აპრილის შეთანხმებაზე.

## საკრებულოს თავმჯდომარე ბექა ვაჭარაძე და მერის მოადგილე ზაქარია გვრიტიშვილი სამელიორაციო სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო



სანიაღვრე არხების მოწესრიგება და სატუმბი სადგურების გამართული მუშაობა პრიორიტეტული საკითხია ქალაქისთვის.

ქალაქ ფოთის მერის მოადგილე ზაქარია გვრიტიშვილი, საკრებულოს თვმჯდომარე ბექა ვაჭარაძე, საკრებულოს წევრებთან და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, სატუმბ სადგურებზე არსებულ მდგომარეობას და ა(ა)იპ მელიორაციის სამსახურის მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგებს გაეცნო.

ფოთში 8 სატუმბი სადგური ფუნქციონირებს, რომელიც უზრუნველყოფს სანიაღვრე წყლების გადინებას. განსაკუთრებული დატვირთვა სადგურებს უხვი ნალექის დროს აქვს.

მერის მოადგილე არსებულ პრობლემებს გაეცნო და ა(ა)იპ მელიორაციის სამსახურის ხელმძღვანელთან, ვაგნერ მხეიძესთან ერთად, სადგურების ელექტრო ენერგიის უწყვეტ რეჟიმში მიწოდების აუცილებლობაზე ისაუბრა.

## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ალექსანდრე ტყებუჩავა ა(ა)იპ “ბავშვთა ცენტრს” სტუმრობდა.



ალექსანდრე ტყებუჩავა საკრებულოს წევრთან თორნიკე კირთაძესთან და მერიის წარმომადგენლებთან ერთად, (ა)აიპ-ის ბენეფიციართა საცხოვრებელ და სასწავლო პირობებს გაეცნო და ბავშვებს გაესაუბრა.

ფოთში სოციალურად შეჭირვებული და დედ-მამით ობოლი ბავშვებისათვის ბავშვთა ცენტრი 1999 წლიდან ფუნქციონირებს, სადაც დღესდღეობით 8 ბავშვი ირიცხება. მათ აქ სწავლა-განვითარებისათვის შექმნილი გარემო აქვთ, ყავთ აღმზრდელები, სასკოლო საგნებში დამხმარე პედაგოგები.

ბავშვთა ცენტრი ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება.

## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ალექსანდრე ტყებუჩავა ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმში და ნიკო ნიკოლაძის კოშკში იმყოფებოდა



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ალექსანდრე ტყებუჩავა ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმში და ნიკო ნიკოლაძის კოშკში იმყოფებოდა,სადაც არსებულ მდგომარეობას გაეცნო და თანაშრომლებს შეხვდა.

კოლხური კულტურის მუზეუმში ოცი ათასამდე ექსპონატი ინახება, რომელშიც გაერთიანებულია ძველი კოლხეთის არქეოლოგიური ,ეთნოგრაფიული და ქალაქის ისტორიის ამსახველი ფაქტები. მუზეუმის დარბაზებში დამთვალიერებს შეუძლია იხილოს გვიან ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანის კოლხური კულტურის ნიმუშები.

ფოთის ისტორიის მუზეუმის დაცული ექსპონატებიდან საყურადღებოა ნიკო ნიკოლაძის პირადი ნივთები და საქალაქო მმართველობის ოქმები და დოკუმენტები.

ნიკო ნიკოლაძის კოშკი წარმოადგენს ქალაქ ფოთისათვის უძველეს და უმნიშვნელოვანეს ძეგლს როგორც ისტორიული, ასევე არქიტექტურული ღირსებების გამო.

ნიკო ნიკოლაძის კოშკის რეაბილიტაცია ფონდი „ქართუს" მხარდაჭერით განხორციელდა. ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ინიციატივით, რესტავრაცია ჩაუტარდა კოშკში განთავსებული ნიკოლაძისეულ ავეჯსა და ნივთებს.

კოშკში, მე-5 სართულზე განთავსებულია მექანიკური საათი, რომელიც 1870 წელსაა დამზადებული და ნიკო ნიკოლაძემ პარიზიდან ჩამოიტანა. ამ კოშკში ნიკო ნიკოლაძე [1894-1912წწ] მოღვაწეობდა, ცხოვრობდა და მასპინძლობდა ქალაქში ჩამოსულ სტუმრებს.

## ფოთის არჩილ ხორავას სახელობის სახელოვნებო სასწავლებლის საკონცერტო დარბაზში, სასწავლებლის ხალხურ საკრავთა განყოფილების მოსწავლეებმა და პედაგოგმა გია გურგენაძემ შემაჯამებელი დასკვნითი ღონისძიება გამართეს.

რეპერტუარში იყო ქართული ხალხური მუსიკის რიტმები და მელოდიები, ფრაგმენტები საგალობლებიდან, კლასიკური მუსიკიდან ნაწყვეტები ქართული ოპერიდან, ასევე ნიმუშები უცხოური ფოლკლორული ნაწარმოებებიდან. ფოთელი ნორჩი ფოლკლორისტების მიერ შესრულებულმა თითოეულმა ნომერმა-სალამურზე, ფანდურზე დოლზე, ჭიბონზე, მოწვეულ სტუმართა დიდი მოწონება დაიმსახურა.



კონცერტს ქალაქის მერის პირველი მოადგილე ალექსანდრე ტყებუჩავა, საკრებულოს თავმჯდომარე ბექა ვაჭარაძე, საკრებულოს წევრები და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

დაუღალავი შემოქმედებითი შრომის ნაყოფი პანდემიის პირობებში -ასე შეიძლება ეწოდოს ამ საანგარიშო კონცერტს - განაცხადა კონცერტის დასასრულს

ალექსანდრე ტყებუჩავამ. მერის პირველმა მოადგილემ მადლობა გადაუხადა სახელოვნებო სასწავლებლის დირექტორს, შუშანა (ლია) ეჯიბიას, პედაგოგ გია გურგენაძეს,მოსწავლეებსა და მშობლებს მონდომებისა და გაწეული ნაყოფიერი მუშაობისთვის.

ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი ,,პირიმზე''არაერთი წელია წარმატებებს აღწევს საერთაშორისო და რესპუბლიკურ კონკურს-ფესტივალებზე, არის მრავალგზის ლაურეატი და ,,გრან-პრის'' მფლობელი.

## დაწყებითი კლასების მოსწავლეების პროფილაქტიკურ გამოკვლევები



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკურ გამოკვლევებს - თვალის პათოლოგიების გამოვლენა და პრევენცია, სქოლიოზის გამოვლენისა და პრევენციის მიზნით ორთოპედის კონსულტაცია და ხერხემლის რენტგენოლოგიური კვლევა დააფინანსებს.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დაწყებითი კლასების მოსწავლეების პროფილაქტიკურ გამოკვლევას, აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში გავრცელებული პათოლოგიების, კერძოდ, თვალისა და ხერხემლის(სქოლიოზის) პათოლოგიების პრევენციის მიზნით.

პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო და კერძო სკოლის პირველი კლასის მოსწავლეები.

აღნიშნულ მომსახურებას ტენდერში გამარჯვებული კლინიკა „ლაზიკამედი" განახორციელებს.

## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ალექსანდრე ტყებუჩავა მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურისა და კულტურის სფეროს ა(ა)იპ-ების წარმომადგენელს შეხვდა.



შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა.

მერის მოადგილემ სფეროში არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე ისაუბრა და დამსწრეთა მოსაზრებები მოისმინა კულტურული ორგანიზაციების გაძლიერების კუთხით. პანდემიიდან გამომდინარე საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით შეზღუდული იყო კულტურული ღონისძიებები.

„ ჩვენ ვისაუბრეთ იმ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც ფოთში კულტურისა და ხელოვნების სფეროს მხარდაჭერას ეხება. კულტურის სფეროს განვითარების მიმართულებით ფოთში არაერთი პროექტი განვახორციელეთ. მინდა გამოვყო, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენის საკითხი, რაშიც უდიდესი დახმარება გაგვიწია ფონდმა „ქართუმ"-აღნიშნა მერის პირველმა მოადგილემ.

ალექსანდრე ტყებუჩავამ კულტურის სფეროს წარმომადგენლებს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა და მაქსიმალურ დახმარებას დაჰპირდა.

## შეხვედრა ,,კოლხეთი- 1913 მწვრთნელებთან და ფეხბურთელებთან



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ალქსანდრე ტყებუჩავა საკრებულოს წევრებთან ერთად, ფოთის ცენტრალურ სტადიონზე, საფეხბურთო გუნდ ,,კოლხეთი- 1913" მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს შეხვდა და არსებულ ვითარებას გაეცნო. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ფეხბურთელებს სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს და მაქსიმალურ დახმარებას დაჰპირდნენ. შეგახსენებთ, რომ ფოთის ცენტრალური სტადიონის მეორე ეტაპის სამუშაოები დასრულების ეტაპზეა. უკვე დასრულდა ჩრდილოეთ და სამხრეთ ტრიბუნების მშენებლობა, მოეწყო გასახდელები, სველი წერტილები, სწრაფი კვების სივრცეები, დამონტაჟდა ლედტაბლო, განათების, გახმოვანებისა და სახანძრო სისტემები,პროექტს მუნიციპალური განვითარების ფონდი ახორციელებს. ქალაქი ფოთი, თბილისსა და ბათუმთან ერთად , 2023 წელს უეფა-ს 21 წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს.

მერის პირველი მოადგილის ალექსანდრე ტყებუჩავას განცხადებით, ტურნირის მასპინძლობა პირველ რიგში მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მოხდება ქალაქში ფეხბურთის უფრო მეტად პოპულარიზაცია და ხელშეწყობა. ჩვენი ახალგაზრდებისთვის კი ეს იქნება უდიდესი გამოცდილება, რასაც სამომავლოდ გამოიყენებენ ნაკრებში სათამაშოდ.

## თამარ ფაჩულიას საავტორო სკოლა-გიმნაზიამ მისამართი შეიცვალა-ქვეყნის დედაქალაქში



თამარ ფაჩულიას საავტორო სკოლა-გინმაზია სექტემბრიდან ახალ მისამართზე, ქვეყნის დედაქალაქში განაახლებს სასწავლო პროცესს. ფუნქციონირების გასაგრძელებლად რებრენდინგი გახდა საჭირო.

აქ კი, ფოთში, სკოლა, რომელმაც თავისი არსებობის ათეულ წელზე მეტი მიითვალა, დაიხურა. მიზეზი მშობელთა დიდი ნაწილის მხრიდან სოლიდური დავალიანება და ფინანსური კრიზისის ფონზე მოსწავლეთა გადინება გახდა.

დასასრული მძიმე და იძულებითი აღმოჩნდა. არც დასაწყისი იყო იოლი.

ქვეყანაში, სადაც არც განათლებაა და არც ბიზნესი მოწოდების სიმაღლეზე (სამწუხაროდ!), კერძო სკოლის კონტიგენტის ორასზე მეტ მოსწავლემდე გაზრდა რუდუნებითი, შეუსვენებელი შრომის, ბრძოლის, დაუსრულებელ პრობლემებთან შეჭიდების შედეგად გახდა შესაძლებელი.

აქ სწავლობდნენ ბავშვები,რომლებსაც სახელმწიფო კუთვნილ ვაუჩერსაც არ აძლევდა სრულად, მუშაობდნენ უფროსი, წამყვანი, მენტორი მასწავლებლები და კერძო სკოლაში დასაქმების გამო სტატუსის დანამატი არ ერიცხებოდათ.

გამოწვევა ბევრი იყო, ხშირად საჯარო სკოლებზე არანაკლები. დისტანციური სწავლების ფორმატზე გადასვლის დროსაც კი სკოლა-გიმნაზია მოწოდების სიმაღლეზე დარჩა,- ურთიერთობები დაშორიშორდა, თუმცა გაკვეთილების ცხრილი და ხანგძლივობა საკლასო ოთახებში მიმდინარესგან არ განსხვავდებოდა; არც დაგეგმილ აქტივობებზე უთქვამს ვინმეს უარი და არც საქალაქო თუ ქვეყნის მასშტაბით ორგანიზებულ კონკურსებსა და პროექტებში მონაწილეობაზე.

თორმეტი წელი არ არის ბევრი განათლების სფეროში თავის დასამკვიდრებლად, მაგრამ შპს „თამარ ფაჩულიას საავტორო სკოლა-გიმნაზიის" შემთხვევაში საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მოსწავლეზე ორიენტირებულ, ინდივიდუალურ მიდგომებზე აქცენტირებულ სწავლისა და აღზრდის სახლად ჩამოყალიბებულიყო.

დიახ, სახლად (ეს ნამდვილად არ არის ხმამაღალი და პათეტიკური განცხადება!), და ამ სახლში ერთ გუნდად შეკრული კოლექტივი სწავლა-სწავლების საქმეს დაუღალავად ემსახურებოდა, აქ მოსწავლე თავს შინაურად გრძნობდა, იცოდა, რომ მასზე ზრუნავდნენ და მისთვის ირჯებოდნენ, აქ მოიჩქაროდნენ ბავშვებიც და პედაგოგებიც, რადგან სასწავლო პროცესი არა იძულებით და ძალდატანებით, არამედ საჭიროებებს მორგებულად და უკუკავშირზე ორიენტირებულად მიმდინარეობდა.

ასეთი გარემოს შექმნას ყველგან ვერ ახერხებენ. ასეთ გარემოს უწინარესად ხელმძღვანელი ქმნის. თამარ ფაჩულიამ შეძლო ის, რაც ბევრს დღემდე სურვილად დარჩა. ქალბატონმა თამარმა შექმნა სახლი, სადაც ყოველი დღე სიახლით იწყებოდა, ქიშპობას, ჯიბრს კოლეგიალობას ამჯობინებდნენ, სადაც სწავლობდნენ და ასწავლიდნენ, ბევრს შრომობდნენ და დაღლას არ იმჩნევდნენ, იზრდებოდნენ და შეიმეცნებდნენ, მონაწილეობდნენ და იმარჯვებდნენ მრავალ და მრავალჯერადად... სადაც უყვარდათ ერთმანეთი...

პანდემიამ მთელი დედამიწის ყოფიერება შეცვალა. დასასრულის დასაწყისიც ამ დროს დაიწყო. დაკარგულმა სამუშაო ადგილებმა, შემცირებულმა შემოსავლებმა, გაურკვეველი ხვალინდელის შიშმა მშობელთა დიდი ნაწილი იძულებული გახადა, შვილის კერძო სკოლაში სწავლებაზე უარი ეთქვა. დარჩენილი შემოსავლებით ფუნქციონირების გაგრძელება შეუძლებელი იყო და სკოლის ხელმძღვანელობამაც შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო.

სასწავლო წლის მიწურულს, საზაფხულო განშორების გამო, სევდანარევი სიხარულით გამოირჩევა ყველა აქტივობა. მეთორმეტეჯერ დარეკილი დამათავრებელი გაკვეთილის ზარი კი სკოლა-გიმნაზიისთვის საბილოო აღმოჩნდა.

იყო ლამაზი, ტრადიციული ღონისძიება, ბევრი ლექსი, ცეკვა, სიმღერა, დაჯილდოების ცერემონიალი, სიგელები, დიპლომები... სპეციალურად ამ დღისთვის მოსწავლეებმა მასწავლებლები, პედაგოგებმა კი თავიანთი აღსაზრდელები სხვადასხვა ნომინაციით წარადგინეს; სკოლის დირექტორმა, თამარ ფაჩულიამ სამახსოვრო ბარათები გაატანა დიდი ოჯახის თითოეულ წევრს, სადაც გულითადი რჩევები და სურვილები იყო გაჟღერებული; ქალაქის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა, გოჩა ქორქიამ სკოლა-გიმნაზიის დირექტორს, ქალბატონ თამარს მრავალწლიანი კოლეგიალური თანამშრომლობისთვის დიპლომი გადასცა.

ამაღელვებელი, საინტერესო და გამორჩეული აქტივობა შედგა, მაგრამ იყო დაუგეგმავად, საღამოს მსვლელობას ადევნებული გაბზარული ხმა, ყელში გორგლად გაჩხერილი, ვერდატეული და თვალებში აკიაფებილი ცრემლების ათინათები. ღონისძიება მიჰყავდათ პედაგოგებს: კატო კაკულიასა და მარიკა გურაბანიძეს, ასევე მოსწავლეებს: ლიზი დოლბაიასა და საბა გუჯაბიძეს.

ზრდასრულ ადამიანს ტირილს ვერ აიძულებ, მით უმეტეს ბავშვს და მას ვერც არაგულწრფელობას დასწამებ.



ბოლო დღის ემოცია სკოლის აღსაზრდელებს საგზლად გაჰყვებათ და დიდხანს, დიდხანს ემახსოვრებათ. შესაძლოა ისეც მოხდეს, მარცხისა თუ წარმატებისას, ქვეცნობიერმა გონებაში ყოფილ სკოლასთან პარალელები ამოატივტივოს...

შპს „თამარ ფაჩულიას საავტორო სკოლა-გიმნაზიამ" ადგილმდებარეობა შეიცვალა. ძველ მისამართზე კი სექტემბრიდან სწავლის, ცოდნისა და ძიების ახალი კერა მოუხმობს მსურველებს. იგი აუცილებლად იტყვის ახალ სიტყვას და ისევ ომახიანად, ვინ იცის, იქნებ ძველის დაბრუნების გადაძახილადაც იქცეს!..

**ქეთევან ჯაკობია**
**უფროსი მასწავლებელი**

მილოცვა

გადასახედი

# ბადრი ბასილაია - 70

## წარდგენილია ფოთის საპატიო მოქალაქის წოდებაზე.

## 50 წლის წინათაც იზრდებოდა ჯანსაღი თაობა

## ჩვენი ფეოლა-ბადრი ბასილაია



სურათზე: ბადრი ბასილაია ოჯახთან ერთად

ფოთელებს გამორჩეულად უყვარდათ ფეხბურთი, ალბათ იმიტომაც, რომ აქ პირველად აფრინდა პირველი მერცხალი და მთელი საქართველო შემოიარა.

ბევრმა სახელოვანმა ფეხბურთელმა ქალაქ ფოთში მიიღო პირველი ნათლობა, მწვრთნელებმაც აქედან დაიწყეს თავიანთი კარიერა, ზოგმა ბოლომდე იმწვრთნელა, ზოგმაც ადრე დაამთავრა კარიერა სხვადასხვა მიზეზების გამო. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ **ბადრი ბასილაია**. მაღალი, გამხდარი, შავგრემანი ბიჭი ფეხბურთის მოედანს გვიანობამდის არ სცილდებოდა და მას ირგვლივ შეკრებილი პატარა ფეხბურთელებიც უსმენდნენ, სწავლობდნენ ფეხბურთის ,,სტრატეგიის", ტაქტიკის საიდუმლოებას და ცდილობდნენ ყველაფერი თამაშში გადაეტანათ. მარცხი არ აშინებდათ, რადგან ოპტიმისტი მწვრთნელი არასოდეს კარგავდა გამარჯვების იმედს და მათ მუდამ აქეთკენ მოუწოდებდა.

მაშინ ბადრი ბასილაია საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობდა. ეს ის დრო იყო, როდესაც ფეხს იკიდებდა მინი ფეხბურთი, ქუჩების გუნდებს შორის შეჯიბრება. ბევრი რამ აკლდათ. მოედანი არ იყო კეთილმოწყობილი. არც სახსრები გააჩნდათ. მაგრამ ქონდათ მთავარი-ენთუზიაზმი. უდიდესი ერთგულება ფეხბურთისადმი. ახალგაზრდა მწვრთნელს პირადი დანაზოგიდან არაერთხელ შეუძენია სპორტული ტანსაცმელი. იგი განსაკუთრებით ზრუნავდა უდედმამო ბავშვებზე, ბევრი მათგანი დედაქალაქში წაუყვანია და სპეციალური სკოლა-ინტერნატისთვის მიუბარებია. ალბათ, ამ დიდი სიკეთით, სიყვარულით ახერხებდა იგი მათ სულში წვდომას, რის გამოც მომავალი ფეხბურთელებიც თავს არ ზოგავდნენ გუნდის პრესტიჟის დასაცავად. ბადრი ბასილაიას საოცარი ალღო ჰქონდა, ათობით მოთამაშეთა შორის მაშინვე არჩევდა ხოლმე პერსპექტიულს, საიმედოს. ფეხბურთისადმი სიყვარულს თანდათან უძლიერებდა ბრწყინვალე წარმატებები. ,,ტყავის ბურთის" პრიზზე რესპუბლიკურ გათამაშებაში მისი ხელმძღვანელობით 1969 წელს ფოთის გუნდა,,იმედმა" პირველი ადგილი დაიკავა. 1970 წელს-მეორე, 1971 წელს-მეორე, ხოლო 1972 წელს-მესამე საპრიზო ადგილები. პირველად 1973 წელს ქ. თბილისში სპორტის სასახლეში ჩატარდა საქართველოს პირველობა მინი ფეხბურთში. ფოთის ,,პირველმა მერცხალმა" დაიკავა მეორე ადგილი, საუკეთესო ბომბარდირი გახდა **ნუგზარ თავძე**. 1975 წელს გავიდნენ მესამე ადგილზე; საუკეთესო ფეხბურთელები გახდნენ **ნუგზარ მიქაბერიძე, მალხაზ არზიანი**. 1976 ისევ მესამე ადგილი, რისთვისაც დააჯილდოვეს რესპუბლიკის ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და სპორტკომიტეტის საპატიო სიგელებით. იგი იმ ხანად მონაწილეობდა გაზეთ ,,ლელოს" კონკურსში ,,სპორტის მცოდნე" და ამის შესახებ აღინიშნა ამავე გაზეთის ფურცლებზე (100-დან 92 კითხვას უპასუხა. ,,ფუდბოლხოკეის" კონკუსრში 100 დან 88 კითხვას გასცა პასუხი. 1969-1980წწ. იყო გაზეთ ,,ლელოს" კორესპოდენტი.

**ბადრი ბასილაიას** აღზრდილებიდან თბილისის დინამოში თამაშობდა **ნუგზარ მიქაბერიძე, მალხაზ არზიანი, მერაბ თევზაძე, თამაზ ცქვიტავა**, რომელიც შემდეგ თამაშობდა ,,ზარია ვოროშილოვგრადში" -მოსკოვის ,,ტორპედოში"; **ევგენი რასოლოვი**-ქუთაისის ,,ტორპედოში"; **ნუგზარ თავაძე, რობერტ ქაჯაია**-ბათუმის ,,დინამოში"; **ზურაბ თოფურია, დათო მახარაძე, თენგო გელაჟეიშვილი**- ფოთის ,,კოლხეთში": **გურამ იმნაძე, კოტე გუჯაბიძე, მურთაზ გაბელაია, იმედი გაბელაია, გურამ ბერიძე, ზაურ ნაცვლიშვილი, მამუკა მიქავა, მამუკა ბაჟალაძე, ანატოლი კაჭარავა, მურადი ღლანიძე, მერაბ შამათავა, იმედი ალექსანდრია** და სხვები. სპორტულ მოღვაწეობას კარგად უთავსებდა სწავლას სოხუმის მ. გორკის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ. ცხოვრებამ ერთხანს სხვა გზით ატარა-მუშაობდა სამკერვალო ფაბრიკაში იურისტ-კონსულტანტად. რესპუბლიკის პროფკავშირების სპორტული საზოგადოება კრივის სკოლის დირექტორად, სადაც აღიზარდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონები, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონები: **ზურაბ სარსანია**, მწვრთნელი ზ. **ანთია, კობა გოგოლაძე**, მწვრთნელი **ქ. ქლანტაიშვილი**. ამ სკოლის მოკრივეებმა 1988 წელს საქართველოს პირველობაზე გაიმარჯვეს, 1989 წელს საკავშირო ტურნირში ქ. იზმაილში 5 პირველი ადგილი გაინაღდეს. 1990 წელს საქართველოს ჩემპიონატში სამი პირველი, სამი მეორე და ორი მესამე ადგილები დაიკავეს. 1991 წელს კი 5 პირველი და ორი მეორე ადგილი, რაც უდაოდ დიდი წარმატებაა.

მიუხედავად ამისა გული ისევ ძველებურად მოედნისაკენ მიუწევდა, რათა კვლავ გამოეცადა პატარა ,,მობურთალები", გაეწვრთნა ისინი. მაგრამ, მოულოდნელად წინააღმდეგობებს წააწყდა. საქმე იმაში იყო, რომ ცკას არ მოსწონდა როდესაც პატარა ქალაქის გუნდი დიდი ქალაქის გუნდებს უგებდა და წარმატებებს აღწევდა. თბილისელები ათასგვარ მაქინაციებს მიმართავდნენ, მოდაში შემოვიდა დაბადების მოწმობების გადაკეთება. გამოჰყავდათ გაზრდილი ფეხბურთელები და ამ უმსგავსობას ებრძოდა ბადრი ბასილაია, რის გამოც მის მიმართ განაწყენდნენ და მოიშორეს. სამუდამოდ აუკრძალეს შეჯიბრებაში მონაწილეობა. ბადრიმაც ვერ აიტანა უსამართლობა და ნიჭიერი მწვრთნელი ,,**ფეოლად**" წოდებული, რომელსაც შეეძლო კიდევ მრავალი ნიჭიერი ფეხბურთელი მოენახა და აღეზარდა ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ, იძულებული გახდა გასცლოდა ფეხბურთს და ამის შემდეგ არც კი გაუხედავს ფეხბურთის მოედნისაკენ. ასე იყო 30 წლის განმავლობაში.

ზ. ნარაძე

იუბილე

## რიჩარდ ხუადე-70

,,და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს, როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე"



წლები ჩემი სიმდიდრეა, თავისუფლად შეუძლია თქვას ეს ბატონმა რიჩარდმა. მართლაც დიდი გადასახედია სამშობლოს სიყვარულისა, კაცობის, სამართლიანობის ბრძოლისა.

დიდ იუბილეს ვილოცავ ნაღდ ფოთელს, კარგ მამულიშვილსა და მოქალაქეს- რიჩარდ ხუადეს.

1982-1989 წლებში, იგი მუშაობდა ნავსადგურის პროფკავშირის თავმჯდომარედ. 1989-1993 წწ. ფოთის საბაჟოს უფროსად. სამოქალაქო ომის დროს იძულებული გახდა დაეტოვებინა მშობლიური ქალაქი და დედ-მამა.

1993-2009 წწ. ქალაქ რიაზანის და ქ. კურსკის საბაჟოს უფროსია. შემდეგ ქ. მოსკოვის საბაჟოს უფროსის მოადგილე, მრჩეველი. ამჟამად პენსიონერია-საბაჟოს გენერალი.

რიჩარდ ხუადე დიდი ქველმოქმედია. მან ააშენა სოფ. ჭალადიდის დიდი ეკლესია, ეხმარება შეჭირვებულებს.

დიდხანს იცოცხლე, იდღეგრძელე, იხარე შენი კარგი ცოლ-შვილით, ახლობლებით, მეგობრებით.

ბავშვობის მეგობარი
ბადრი ბასილაია

## სტუმრად ბადრი ბასილაიასთან -ძირძველ ფოთელთან

## საოჯახო მუზეუმი - სახელმწიფოს ცხოვრების თანაზიარი



,,სიცოცხლე იმას ნიშნავს, რასაც მანამდე ნიშნავდა, სიცოცხლე ის არის რაც აქამდე იყო, ძაფი არ წყდება".

პირველად რამაც შეიძლება აქ ჩაგაფიქროს - ცხოვრების უწყვეტობა და მარადიულობის განცდაა, როცა ბადრი ბასილიას ოჯახში ეწვევი, თვალში საცემი ორი სახლია - ერთი პატარა ძველებური და მეორე - თანამედროვე. სწორედ, იმ პატარა სახლს აქვს დროის დატვირთვის - დროის აღდგენის დავალება-უკვდავყოფა მოვლენების, საგნების აღქმის. აქ მხოლოდ ოჯახური გარემო არაა პრივილეგირებული, აქ ეპოქის სუნთქვაა. ამ ტრადიციული ოჯახის ცხოვრებაც სახელმწიფოს ცხოვრების თანაზიარია. გასული საუკუნის დაუნდობელი წლები, ბოლშევიკებისაგან დევნილი მამა-კალისტრატე ბასილაია-დიდი მეურნე კაცი, ნამდვილი მეჯოგე-მდიდარი თავისი შრომით, მრავალშვილიანი ოჯახის პატრონი, ხუთი ქალიშვილი და ერთი ბიჭი-ყველასგან განებივრებული ნაბოლარა ბადრი ბასილაია-რომელიც იხსენებს რაოდენ ბედნიერები იყვნენ -სამი თაობა ერთ ბუდეში-თითქოს ამ პატარა სახლში მეტი სიხარული, სტუმრიანობა და ბედნიერება იყო-კედლებს ამშვენებს წარწერები, გამონათქვამები-მთავარი დევიზი-სიყვარულია მოყვასის, სამშობლოს, ქვეყნის სამსახური.

სადაც სიყვარულია იქ ღმერთია, რწმენა, ერთობაა, სიხარულია. ირგვლივ ქართული ხალხური ჰანგები იღვრება, სიმღერა საუკუნის უტყუარი ნიშანსვეტია და უკვდავი ძეგლი თავისი დროის, მუდამ თანამედროვე, როგორც მარგალიტი, აქ ყურადღებას იქცევს უძველესი დროის მუსიკალური საკრავი-პატეფონი, გრამფირფიტები, სადაც ფენომენალური ხალხური ანსამბლები ასრულებენ ,,ჩელას", ,,სი ქოული ბატას", ,,ხასანბეგურას", ,,ჩვენ მშვიდობას"-საოცარი ხმები, ჰანგები-დროის სუნთქვა და სურნელი



მოაქვთ!

გაოცებას იწვევს პეიზაჟები ქალაქის ცხოვრებიდან-ნავსადგური, ნიკოლაძე, ტაძარი, ხიდი რიონზე, უნიკალური მასალები მოვლენებზე, ძველი ჟურნალ-გაზეთებიდან ფოტოები, სურათები, ნახატები, ოჯახის ახლობლები-ნათესავები, მეგობრები, მეზობლები, რომელთაც სიყვარული, რწმენა, სულიერება აერთიანებთ, ამ უბრალო ადამიანების მიღმა იდგა გამორჩეული ქართული ხასიათი, სიკეთე სათნოება, პატიოსნება, ერთგულება, რა დიდი გზაა ცხოვრე-



ბისა, ტკივილითა და სიხარულით გავლილი ჩვენი თაობის ცხოვრება, თითქოს დასაბუთებული. ძველი ნივთებით ბეჭედდასმული. გინდა მოეფერო, ბევრი რამ ტრადიციულად თავის ადგილასაა, ყველგან გასაოცარი კოლექცია-ჭინჭილები, ჭურები, ყანწები ,,ეს გაუმარჯოს სიკვდილშიაც არ დავიწყებას"-ვიხსენებთ მეგობრებს.

ხსოვნას ინახავს ყველა კუთხე-როგორც არქივი. ,,სული ისე მძიმეა ერთ კაცს მისი ტარება არ ძალუძს".

ცოცხლდება გარდაცვლილთა სახეები, რა მხიარულება იყო აქ, არადა, ამ სივრცეს მამის მეგობრები ავსებდნენ, რომელთაც ახლახან მოუყარა თავი და აქეიფა. ერთი დღე ხსოვნის ირგვლივ დაუთმო მათ.

კარგი მეუღლე - შვილების დედა ლია ტაბაღუა, ყველას გვახსოვს მისი სითბო, კერიასთან გაშლილი სუფრა. სიცოცხლე გრძელდება...

ოჯახის მეთაური ბადრი ბასილაია როგორც დიდებული პატრონი, ისე უვლის აქაურობას. მეუღლე მაია კორძახია ყველა საქმეში გვერდში უდგას. შვილიშვილი,პატარა ბიჭი წინაპართა სურათებს ეფერება. იქნებ, ეს საკმარისია ხსოვნის უკვდავყოფისათვის. გაიზრდება და ასახელებს გვარს, ჯიშ-ჯილაგს.

ბატონი ბადრი მადლობას უხდის ჰიდრომანქანათმშენის გენერალურ დირექტორს, ბატონ **გიზო ხარჩილავას** საბაჟო სამსახურის ყოფილ იფროსს, ბატონ **რიჩარდ ხუადეს** დახმარებისა და ყურადღებისათვის

ვტოვებთ იქაურობას - ისევ ცოცხლდება გასული საუკუნის ფოთი - ოჯახის გადასახედიდან, თავისი ტკივილითა და სიხარულით განვლილი გზით, წინააღმდეგობებით, ომით და მშვიდობით.დროის მდინარება თითქოს ერთ დიდ კინოდოკუმენტური ფილმის ჩარჩოშია მოქცეული. თითქოს გავალდებულებს იცხოვრო რამდენიმე დროში და გახსენებს - ვინც პატივს არ მიაგებს წინაპართა ხსოვნას, მას არ ეკუთვნის ეს ქვეყანა.

ზ. აბრალავა

,,ტყე შეუნახე შვილებსა, მამა ხარ შენი ვალაია"

# მცენარეთა როლი გარემოს დაცვის საქმეში



მცენარე ადამიანისა და სხვა ცოცხალი ორგანიზმების არსებობის აუცილებელი ფაქტორია. მცენარისათვის დამახასიათებელი პროცესი ფოტოსინთეზია. ფოტოსინთეზი მცენარის მიერ მზის სხივური ენერგიის მონაწილეობით, ნახშირორჟანგისა და წყლის ელემენტებისაგან ორგანულ ნივთიერებათა ნახშირწყლების წარმოშობის პროცესია. ამ პროცესის ძირითადი ელემენტი ქლოროფილია, რომელიც მცენარის ფოთლებისა და მწვანე ნაწილებშია დაგროვილი და იწვევს მცენარეების მწვანე შეფერადებას. ქლოროფილს მზის ენერგიის შთანთქმის დიდი უნარი ახასიათებს, რის გამოც იგი ფოტოსინთეზის პროცესში აქტიურად მონაწილეობს. ცხოველურ ორგანიზმებს ქლოროფილი არა აქვს და მათ ფოტოსინთეზი არ ახასიათებთ, სწორედ ამით განსხვავდებიან ისინი მცენარეებისაგან. ფოტოსინთეზის რეაქცია სქემატურად შეიძლება გამოვხატოთ ასეთი განტოლებით - $6CO_2+6H_2O+67000$მც.კალორია - $C_6H_{12}O_6+6O_2$.

ამ პროცესის თანაური პროდუქტი ჟანგბადი აუცილებელია სიცოცხლისათვის. ფოტოსინთეზის არსი შესანიშნავად აქვს განმარტებული დიდ რუს მეცნიერს ვ. ტიმირიაზევს. ,,ოდესღაც სადღაც დედამიწაზე დაეცა მზის სხივი, მაგრამ ის დაეცა არა უნაყოფო ნიადაგზე, არამედ ხორბლის მწვანე აღმონაცენზე, უკეთ რომ ვთქვათ იგი დაეცა ქლოროფილის მარცვალს, მოხვდა რა მას, ჩაქრა, აღარ ანათებდა, მაგრამ არ გაუჩინარებულა, ის მხოლოდ შინაგან მუშაობას დასჭირდა, გააპო, გაარღვია კავშირი. ნახშირორჟანგად შეერთებული ნახშირბადისა და ჟანგბადის ნაწილაკებს ნახშირბადი შეუერთდა წყალს და წარმოქმნა სახამებელი, რომელიც ხსნარშაქრად გარდაიქმნა და მცენარეში ხანგრძლივი ყოფნის შემდეგ პურის მარცვალში სახამებლის ანუ წებოვანას ხსნარით დაილექა.

ფოტოსინთეზის დროს მცენარე გარემოდან ნახშირორჟანგს ამავე მოცულობით თავისუფალ ჟანგბადს გამოყოფს. მცენარები ატმოსფეროში არსებული ნახშირორჟანგის მთელი რაოდენობიდან დაახლოებით ერთმეოთხედს ითვისებენ. ამის შემდეგ ატმოსფერო უნდა დაცლილიყო $CO_2$ -საგან, მაგრამ ბუნებაში მრავალი ისეთი პროცესია, რომლებიც აღადგენენ და ამდიდრებენ ჰაერს ნახშირორჟანგით. ეს პროცესებია: სუნთქვა, დუღილი, ლპობა, წვა, ბაქტერიების და სოკოების აქტიური მოქმედება. მათი მოქმედებით ატმოსფეროში ნახშირორჟანგის რაოდენობის რეგულირება ხდება, ფოტოსინთეზი ერთ მილიარდ წელიწადზე მეტი ხანია ხორციელდება. ამ ხნის განმავლობაში სინთეზირებულია ორგანული ნივთიერების უაღრესად დიდი რაოდენობა, რომელთა ნაწილი დღემდე შემორჩა ნავთობის, ქვანახშირის, ტორფის, საწვავი გაზის და სხვათა სახით.

ფოტოსინთეზის უდიდეს მნიშვნელობას აფასებენ არამარტო იმით, რომ იგი იძლევა ადამიანთა და ცხოველთა საკვებს, საწვავს, საამშენებლო მასალას და სხვა.(არამედ იმითაც, რომ იგი მოიხმარს ნახშირორჟანგს და ამცირებს მათ დაგროვებას ბიოსფეროში.

ადამიანმა შეიგნო, რომ მისი სიცოცხლისათვის ორი აუცილებელი ელემენტი მიწა და წყალი ინახება და იზოგება მცენარეული საფარის წყალობით. ცნობილია, რომ ქალაქებში იქმნება ადამიანისთვის საკმაოდ არახელსაყრელი თავისებური მიკროკლიმატური პირობები, ასე მაგ: ქალაქში უფრო მკვეთრად მერყეობს ჰაერის ტემპერატურა, არის მეტი მტვერი და მავნე გაზები. ჰაერი უფრო მშრალია ვიდრე ქალაქგარეთ. მცენარეებიდან გამოყოფილი ჟანგბადი ქარით გადადის დიდ მანძილზე, ასუფთავებს საჰაერო აუზებს ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში და უზრუნველყოფს სიცოცხლეს დედამიწის სფეროს ყველა კუთხეში.

ჰაერის მტვერითა და მრეწველობის ნარჩენებით გაჭუჭყიანებისაგან დაცვის საქმეში მცენარეთა როლი წარმოუდგენლად დიდია. ისინი მნიშვნელოვნად არბილებენ უარყოფითი, ფაქტორების მოქმედებას, ქმნიან ადამიანისთვის უფრო ხელსაყრელ პირობებს.

ხეებსა და ბუჩქებზე, ბალახებზე კავდება ჰაერში მყოფი მტვერი 72%-ამდე და 60%-,მდე გოგირდოვანი გაზი. პატარა ბაღშიც კი მტვერის რაოდენობა მცირდება ღია მოედნებთან შედარებით, 30%-მდე. მცენარეთა დაცვითი როლი მჟღავნდება ზამთარში, მაშინაც კი როცა ისინი უფოთლონი არიან. გამთბარ ასფალტზეც, ქვიშაზე, რკინის სახურავზე, ქვის კედლებზე ჩნდება ჰაერის აღმავალი დენი, რომელსაც აქვს წვრილი მტვერი ზევით და ხანგრძლივად აჩერებს იქ მას. მცენარეთა მტვერდამცველი თვისებები იმდენად მაღალია, რამდენად მეტია მათზე ფოთლოვანი ზედაპირი და ბუსუსები. ახელებენ ზაფხულის სიცხეს ცხელ ამინდში.4-8$^0$ C-ზე. უფრო დაბლა ვიდრე ღია ადგილებში. მწვანე ნარგავებში ერთდროულად ადიდებენ ჰაერის ფარდობით ტენიანობას. დაახლოებით 15-30%-ით. ასეთი ჰაერი უფრო გამოსდაეგია სუნთქვისთვის. ტენიანობის ეს სიჭარბე გამოწვეულია მცენარეულობის ზედაპირიდან აორთქლების დიდი ფართობით, ასევე მზის სხივების არეკვლით, რის გამოც ზაფხულობით მწვანე ნარგაობაში დიდი სიგრილეა, ხოლო ზამთარში მცენარეთა საბურველის გავლენით ჰაერის ტემპერაურა მატულობს, ადამიანის ორგანიზმისთვის შეფარდებით ტენიანობა 30-60% ნორმალურად ითვლება. წყლის რეგულირების მხრივ მცენარეებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მწვანე მასივები ანელებს წყალდიდობას, იცავს წყაროებს დაშრობისაგან, წარმოადგენს ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებას.

მწვანე მასების ტერიტორია განსაკუთრებით წიწვიანი, ფიჭვიანი კორომები ძლიერ ამდიდრებს ჰაერს ოზონით. დადგენილია, რომ წიწვიან მცენარეთა გამონაყოფი მომაკვდინებლად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიშ და მავნე მიკრო ორგანიზმებზე. განსაკუთრებით კოხის ჩხირებზე, რომელიც ტუბერკულიოზის გამომწვევია.

ასევე დადგენილია შოთხვის, იასამნის, დაფნის ფიტონციდური თვისებები. სოჭის ქერქის ფიტონციდები კლავენ დიზენტერიის ბაქტერიებს. ანტონოვკის ვაშლის წვენი, ალვის ხის და ზოგიერთი სხვა მცენარის ფოთოლი კლავ დიზენტერიის ბაქტერიებს. ფიტოციდების წყალობით. ტყის 1მ$^3$ ჰაერი შეიცავს სულ 200-300 ბაქტერიას. დიდი ქალაქის ჰაერში მათი რაოდენობა 200-250-ჯერ მეტია.

რაც შეეხება კოლხური ლანდშაფტისათვის აგრერიგად დამახასიათებელ ევკალიპტს, იგი მეტად სასარგებლო, მრავალმხრივად გამოსაყენებელი მცენარეა. მისი გამხმარი ფოთლებიდან ამზადებენ ნაყენს, რომელსაც წარმატებით იყენებენ, ასთმის, ბრონქიტის, სასუნთქი ორგანოების, კატარის, ანთებითი პროცესის და ჰიპერტონიული დაავადებების დროს სამკურნალოდ: ევკალიპტებისათვის დამახასიათებელია ტრანსპირაციის მაღალი კოეფიციენტი, ე.ი. ერთეული მშრალი ნივთიერების შესაქმნელად წყლის დიდ რაოდენობას ხარჯავს, ამავე დროს მისი ფოთლების მზის სხივების მიმართ ირიბად განწყობის გამო ნიადაგის ზედაპირამდე ადვილად აღწევს მზის სხივები, რაც ევკალიპტის ქვეშ წყლის ინტენსიური აორთქლების პირობებს ქმნის. ამიტომ, მის ნარგავებს ჭარბტენიანი ნაკვეთების დაშრობის დაჩქარების უნარი ქვს, განსაკუთრებით დიდია ევკალიპტის როლი კოლხეთის დაბლობის დაჭაობებული და ჭარბტენიანი ნიადაგების გაკულტურებისა და კლიმატის გაჯანსაღების საქმეში. ეთერზეთების, განსაკუთრებით ცინეოლის უხვი შემცველობის გამო, იგი ახდენს მადეზინფიცირებელ მოქმედებას, ანადგურებს კოლეზსს. ამიტომ მის გაშენებას ქ. ფოთის პირობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. მისი მერქანი გამოიყენება გემთმშენებლობაში, ძვირფასი დგამ-ავეჯისა და პარკეტს დასამზადებლად.

ევკალიპტი თაფლოვანი მცენარე გახლავთ. მას შეუძლია უზრუნველყოს ფუტკრის ღალიანობა. მისი თაფლი გამოირჩევა სპეციფიკური სურნელებით და სამკურნალო თვისებებით.

ბალახოვანი მცენარეებიდან განსაკუთრებით პერსპექტიულია კო-ინდარი, რომელსაც შეუძლია შთანთქოს ჰაერიდან და ნიადაგიდან ყველა მავნე ნაერთები.

მწვანე ნარგაობა მოსახლეობას დიდ სამსახურს უწევენ, ხმაურთან ბრძოლის საქმეში. ხმაურს დიდი ზიანი მოაქვს ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ის ცუდად მოქმედებს ადამიანის ნერვულ სისტემაზე, ამცირებს სხვადასხვა ავადმყოფობისადმი წინააღმდეგობის გაწევის უნარს. ადამიანის ორგანიზმს შეუძლია განსაკუთრებული ზიანის გარეშე აიტანოს 60-დე დეციბელის თანაბარი ხმაური.

მწვანე ნარგავებს შეუძლიათ 20%-მდე შეამცირონ ქალაქის ხმაური. მცენარეთა ყვავილები, ფოთლები, ღეროები გამოყოფს სხვადასხვა ნივთიერებებს. მწვანე ნარგავების ყვავილები და ფისოვანი ნივთიერებების არომატით ივსება ჰაერი. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ამ ადგილებში სადაც ბევრი ნარგავია, ადამიანი თავისუფლად სუნთქავს და მოსახლეობაც უფრო ჯანმრთელია.

ამ ბოლო დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მცენარეულობის მნიშვნელოვან თვისებას-გააუვნებლოს ბიოსფეროს მავნე გამჭუჭყიანებლები. დადგენილია, რომ მთელი რიგი მერქნიანი მცენარეები, ნეკერჩხალი, ეკლის ხე, პანტა ნიგოზი, ეფექტურად შთანთქავენ ისეთ კარცენოგენულ ნივთიერებებს, როგორიცაა ბენზოლი და ტოლუოლი.

უკანასკნელ პერიოდში გარემოს ქიმიურ გაჭუჭყიანებასთან ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბიოსფეროში ქიმიური გამჭუჭყიანებლების აღმოჩენის საკითხს. უკანასკნელ წლებში ნიადაგსა და ჰაერში წყალში ტოქსიკური ნაერთების აღმოჩენის ქიმიური მეთოდებიდან ერთად ბიოლოგიური მეთოდიც დამუშავდა. ბიოსფეროში ტოქსიკურ ნაერთთა აღმოჩენების ინდიკატორების გამოყენება. როგორც ცნობილია, ლიქენები საკვები ნივთიერებისა და წყლის მიმართ იმდენად ნაკლებად მომთხოვნი არიან შიშველ კედლებზეც ხარობენ. სამაგიეროდ მათთვის აუცილებელია სუფთა ჰაერი და ატმოსფეროში ტოქსიკურ ნაერთთა სულ უმნიშვნელო მინარევიც მათ დაღუპვას იწვევს. ამიტომ ლიქენების გზაგანვითარების მიხედვით ბიოსფეროს სისუფთავეც შევამოწმოთ, ასევე მეცნიერებას გამოყვანილი აქვს თამბაქოს ჯიში, რომელიც მგრძნობიარეა ოზონისადმი ატმოსფეროში, რაც ამ ნაერთის დაბალი კონცენტრაციების აღმოჩენის საშუალებას იძლევა. გოგირდოვანი გაზის მიერ ძლიერ მგრძნობიარე მცენარეები იონჯა, ქერი, სამყურა, წიწიბურა ხშირად გამოიყენება ჰაერის სისუფთავის შესამოწმებლად ატმოსფეროში. ფტორის შენაერთების აღმოსაჩენად იყენებენ ხმალას.

მცენარეთა სიცოცხლის ხანგრძლივობა ბაღებში, პარკებში, ქუჩებში, ბულვარებზე მკვეთრად შემცირებულია ზებუნებრივ პირობებთან შედარებით. ამიტომ აუცილებელია დამუშავდეს ღონისძიებები სიცოცხლის გასახანგრძლივებლად.

მცენარე ბუნების ულამაზესი სამკურნალო და მშვენებაა, ფასდაუდებელია მისი როლი ადამიანის ცხოვრებაში, იგი მისი გარემოც არის, მარჩენალიც, საკვებიც, სამკურნალო ნედლეულიც, ესთეთიკური სიამოვნების უშრეტი წყარო,

დავრგოთ, ვახაროთ, დავიცვათ და მოვუაროთ მას და ყოველი ღონით წინ აღვუდგეთ ქვეყანაში მწვანე საფარის შემცირების ყოველგვარ ცდას. ჩვენ ყველანი ვალდებული ვართ, გონივრულად მოვეპყრათ ბუნებას, დავიცვათ დედამიწის მწვანე სამოსელი, რომელიც აუცილებელია სიცოცხლის დამკვიდრებისთვის ჩვენს პლანეტაზე.

თამაზ ბურსულაია,
პროფესორი, სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა დოქტორი

# ტრადიციების ქალის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით

და მაინც, რა შეგვიძლია ვთქავათ იმის შესახებ, თუ ქართველ მამაკაცს, ქართველ ერს, ქალის წინაშე, ქალის მიმართ, რა ხასიათი, თვისება ჩამოუყალიბდა, რა შეხედულება, თვალსაზრისი განუვითარდა, მას შემდეგ, რაც შეისმინა უფლის განცხადება; -მამაკაცის თავი მე ვარ, დედაკაცის თავი-მამაკაციაო. მოგვეხსენება, ქართველთათვის, თუ კავკასიელთათვის, კარგადაა ცნობილი ტრადიციების მნიშვნელობა, პატივისცემა ტრადიციებისადმი, ტრადიციები ხომ ვით სახარება, ცხოვრებას გვიხსნის, წინ მიგვიძღვის, გზამკვლევად გვევლინება, დროს რომ არ ჩამოვრჩეთ სადმე, ცუდად არ წამოვკრათ ფეხი. ამავდროულად, სრული შესაძლებელია და არც არის გასაკვირი, ადამიანი ვერ კი აცნობიერებდეს. ამათუ იმ ტრადიციის შინაარს, მაგრამ, ერის პატივისცემით იცავდეს, ეყრდნობოდეს მის პრინციპებს. რათქმა უნდა, ადამიანს უპირველესად გული უგრძნობს, კარგ საქმეს აკეთებს თუ ცუდს, და ისიც იმ ტრადიციის მიხედვით ცხოვრობს, მამაპაპური რომ ქვია, და ამასთანავე მის მშობლიურ ერს, ხალხს, შეუსისხლხორცებია. ნათქვამია - ,,ერს თუ ძლიერი ტრადიციები აქვს, როგორი ვერაგი მეფეც არ უნდა დაუნიშნონ, მაინც ვერაფერს ავნებსო"-რა თქმა უნდა ბედნიერებაა, როდესაც შენი ტრადიციები გიცავს და ამით შენს ღირსებას ინარჩუნებ. შენს კაცობაზე ამბობ სიტყვას. შენი ადამიანობის გჯერა. რუსებს აქვს ნათქვამი: ,,В первую очеред женщинам". რათქმაუნდა, სიტყვით გამოხატულ თაყვანისცემას საქმეც თან მოსდევს, რაც შეიძლება იმით აიხსნას, რომ რუსები, დღესაც არ ღალატობენ თავისადმი თაყვანისცემას, რაც იმაში გამოიხატება, მთელ რუსეთში თითქმის ყველა ქალი 8 მარტს - ქალთა საერთაშორისო დღეს აუცილებლად მიიღებს ახლობელი მამაკაცისაგან ყვავილების თაიგულს და საჩუქრებს. ასევე, რაც შეეხება ქართულ ტრადიციებთან დაკავშირებით ქალის მიმართ-ფშავ-ხევსურეთში მაინც თუ მაგალითად მტრულად განწყობილი, ორი მამაკაცი ებრძვიან ერთმანეთს და საქმე ბასრ, ორლესურ ხანჯალამდეცაა მისული და ამ დროს ქალი ახერხებს და მანდილს აგდებს მათ შორის, ტრადიციის თანახმად ბრძოლა წყდება. მამაკაცები ახერხებენ დათრგუნონ თავიანთი ვნებები, მოთოკონ ნერვები, დაიცხრონ გული, და დაემორჩილონ ერის ტრადიციებს. ქალის საქციელით, მის წმინდა მანდილში რომ ვლინდება. რუსთაველი კი უფრო მხატვრულად გვეუბნება:

,,-ლეკვი ლომისა სწორია,
ძუ იყოს თუნდაც ხვადიაო".

თან ნახეთ, თუ როგორ გვესაუბრება ქალის თაყვანისცემასთან დაკავშირებით. არსებულ ტრადიციებზე ავთანდილმა, როგორც იქნა 3 წლის ძებნის შემდეგ, მიაგნო უცხო ყმას, მაგრამ ეხლა რომ გაიცნოს, დაუკავშირდეს ამის საშუალებას ვერ ხედავს. ესეც საფიქრალი გაუხდა. მოვუსმინოთ ისევ ავთანდილს:

,,მიეწერა იგონებდა ახლოს შეყრა ვითა აგოს:
,,საუბარმან უეცარმან შმაგი უფრო
გააშმაგოს!
ხამს, თუ კაცმან გონიერმან ძნელი
საქმე გამოაგოს,
არ-სიწყნარე გონებისა მოიძულოს,
მოიძაგოს.
,,რადგან ისი არის რადმე უცნობოდ
და ისრე რეტად,
რომე კაცსა არ მიუშვებს საუბრად და
მისად ჭვრეტად.
მივეწევი, შევიყრებით. ერთმანეთის
ცემა-ჟლეტად,
ანუ მოვკლავ, ანუ მომკლავს,
დაიმალვის მეტის-მეტად".

და მოგვეხსენება, ავთანდილი ქალზე აკეთებს არჩევანს. ქალის, ასმათის წმინდა მანდილია ავთანდილს და ტარიელს შორის დამაკავშირებელი საიმედო რგოლი, რომლის გაწყვეტა უკვე შეუძლებელია. ასევე, ვაჟა-ფშაველას ,,ალუდა ქეთელაურიდან" ტრადიციებთან დაკავშირებით, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ სახარებას ვუკავშირდებით. მაგრამ ჯერ გავიხსენოთ - მოსე მოვიდა და თქვა, -,,სისხლი სიხხლის წილო". ამის შემდეგ, გადის გარკვეული დრო და ადამიანისგან უფრო მეტს ითხოვს ქრისტე.-არავითარი სისხლის ღვრა და უფრო მეტიც, -მარჯვენა ყბაში, რომ გაგარტყან მარცხენა ყბა მიუშვირეო გეუბნება. ქრისტე, მესიაა და რათქმაუნდა მოითხოვს ადამიანისგან ადამიანობას. გიყვარდეს ადამიანი, როგორიც არის, მიუხედავად იმისა იცის, მის ხატად შექმნილ მსგავსებას ელაპარაკება. რათქმაუნდა დახოცეთ ერთმანეთი, არ დაინდოთო არ იტყოდა. და ამადაც, ძველი ტრადიცია, წეს-ადათი ახლით შეცვალა. ,,ალუდა ქეთელაური" კი თემის კანონებს ეწინააღმდეგება: მოგვეხსენება მარჯვენას აჭრის მის მიერ მოკლულ მტერს წესისამებრ. ამის ნიადაგზე კი განაწყენებული ხალხი ზურგს



შეაქცევს, შემდეგ ამისა, ალუდაც არ ყრის ფარ-ხმალს და უფრო მეტს მოითხოვს. თითქოს მეტადაც ფხიზლდება, გონს მოდის, თან ამბობს გულიც ამას მელაპარაკება, რასაც ვაკეთებო და ურჯულოს შესაწირავს წირავს. თან ოდნავ წრეგადასულსაც ემგვანება. თავისი ხელით კლავს საკლავს, რომ შეხედა არ მოუსმინეს, არად აგდებენ მის ინტერესებს. აქ კი აღარ უთმენს ხალხი და ალუდას თავისი ოჯახით განდევნიან, გააძევებენ სოფლიდან. მაგრამ დახეთ ქრისტე რას ამბობს, - მე შემიძულა წუთისოფელმა, ამდენად ჩემს მიმდევრებსაც შეგიძულებენო. რათქმაუნდა ალუდა ქრისტეს სახეა და ახალ აღთქმას წარმოადგენს და ის, რომ უმსხვერპლოდ არ ჩაივლის მისი საქციელი, განა რუსთაველიც ამას არ გვეუბნება.

,,ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფიაო". და იმავდროულად -,,თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენებიო"-ყურადსაღებად გვაფრთხილებს.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი.

დავით ჩირგაძე.

გამოსათხოვარი

„რა საოცარი დასრულდა წლები”

# ოთარ აბდუშელიშვილი



21-ე საუკუნის დასაწყისი კორონა ვირუსის პანდემიამ კაცობრიობას უდიდესი ტრაგედია დაატეხა თავს. ..ვერ დაგიტირეთ”, მტკივნეულად გაისმის ირგვლივ. მედიცინა უძლური აღმოჩნდა მის წინააღმდეგ ბრძოლაში. მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა ამ უხილავმა სენმა. მათ შორის ერთ-ერთი ჩვენი ქალაქის მკვიდრი, ჭეშმარიტი მამულიშვილი, რაფინირებული ინტელიგენტი, ფოთზე და ფოთელებზე უსაზღვროდ შეყვარებული, შრომის მოყვარე **ოთარ აბდუშელიშვილია**.

ოთარ აბდუშელიშვილი დაიბადა 1941 წლის 21 სექტემბერს. ბავშვობიდანვე საცნაური შეიქმნა მისი საღი გონება და კეთილი თვისებები, რაც გამოიხატა წრმატებულ სწავლასა და მის შემდგომ საქმიანობაში. ბატონმა ოთარმა წარმატებით დაამთავრა ფოთის მე-5 საშუალო სკოლა და შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. როგორც ყველა იმდროინდელი კურსდამთავრებული, ჯერ განაწილებით მუშაობდა, მაგრამ მალევე დაუბრუნდა მშობლიურ ქალაქს და მუშაობა დაიწყო მთავარ ტექნოლოგად საოკეანო თევზჭერის სამმართველოში, სადაც თავი გამოიჩინა, როგორც ფრიად განსწავლულმა პროფესიონალმა, შრომისმოყვარე და ენერგიულმა ახალგაზრდამ. სწორედ ამ თვისებების გამო იგი გადაიყვანეს თბილისში, საქართველოს მეთევზეთა ტრესტის ტექნოლოგად, სადაც თავისი ნიჭი და უნარი მოახმარა საქართველოში თევზის მრეწველობის განვითარების საქმეს. ბოლოს იგი გადაიყვანეს თბილისის მე-4 მაცივრის დირექტორად, მაგრამ მალე მუმლი აირია, გაჩანაგდა მრეწველობა, რაც ოთარმა, როგორც ქვეყნის მოჭირნახულემ მძიმედ განიცადა. ოთარი იძულებული გახდა მამისეულ სოფელში გაეგრძელებინა ფერმერის მძიმე შრომა.

ბატონი ოთარის მთავარი თვისება იყო მუხლჩაუხრელი შრომა, კაცმოყვარეობა და სხვისი ჭირის გაზიარება. ამიტომაც უყვარდათ იგი და სათაანდო პატივს მიაგებდნენ. ბატონი ოთარი უდიდესი სიყვარულით სარგებლობდა თავის თაობის ფოთელებში, რამეთუ არასდროს გაუწყვეტია კავშირი მშობლიურ ქალაქთან და თავის მეგობრებთან. ბატონი ოთარი შესანიშნავი მეოჯახე იყო, ჰყავდა შესანიშნავი მეუღლე ორი შვილი და შვილიშვილები და შრომობდა ბატონი ოთარი თავის მშობლიურ მამისეულ სოფელში და იმედიანად შეჰყურებდა მომავალს და ხშირად იმეორებდა ოტია იოსელიანის სიტყვებს:

,,თქვენს მონა-მორჩილს,
(ჯარისკაცად ღმერთს არ ვუქნივარ),
სამშობლოს ვალი ხომ მადევს
ვალად,
რა უფლება მაქვს ვიჯდე სადმე
რბილ სავარძელში.
და მიწისას მაინც არ ვიხდიდე,
არ ვთესდე ყანას,
არ ვრწყავდე ნარგავს.,
იმ მამულს მაინც არ ვუვლიდე,
ვისგანვართ რაც ვართ.
რომელზეც ყველა მიბმული ვართ,
როგორც ხბო პალოს”!

უკურნებელმა სენმა წაიღო ბატონი ოთარის დიდებული სული და ზეციურ საქართველოში აღავლინა, სადაც მართალნი განისვენებენ.

იძინე მშვიდად ბატონო ოთარ, რამეთუ შენი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მეგობრებისა და ახლობლების გულებში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სპეტაკი სული.

მეგობრები

..კარგსა რათა კლავ სიკვდილო, თავადაც არა კვდებია"?

5 წელი უშენოდ...

## თემური ოდიშარიას ხსოვნას 55 წლის გახდებოდი

ხუთი წლის წინათ უკანასკნელ გზაზე გავაცილეთ ერთი კარგი, ნაღდი, უღალატო, შრომისმოყვარე, პატიოსანი, ერთგული პიროვნება თეიმურაზ ოდიშარია.

სულ 50 წელი იცოცხლა მან ამ ქვეყნად. ეს ხომ სიცოცხლის შუადღეა, როცა მზე შუბის ტარზეა, არადა ამ დროის მცირე მონაკვეთში, მხოლოდ საქვეყნო საზოგადოებრივი საქმეები უკეთებია, პატიოსნად, ალალმართლად ემსახურებოდა იგი თავის ქვეყანას, ხალხს.

ბოლო დროს საქართველოს იუსტიციის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მოღვაწეობდა. სადაც თავი კეთილსინდისიერებით და პატიოსნებით გამოიჩინა. გამორჩეულად უყვარდა მას, ფოთი და ფოთელები,

ამასწინათ ახლობლებმა დაბადების დღესთან დაკავშირებით საფლავი ყვავილებით შეამკეს. უახლლოესმა მეგობარმა გია მაღლაკელიძემ ხსოვნის სუფრა მოუწყო ამ მართლაც დიდებულ პიროვნებას, კარგ ფოთელს ყველას წინაშე ვალმოხდილ კაცს.

დედა დაგმარა ჭითანავა მთელი ცხოვრება მოსახლეობის ჯანმრთელობის სადარაჯოზე იყო და თემურის გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე მივაბარეთ მშობლიურ მიწას.

თემური, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ უღალატო კაცი იყო, ეს კი ბედისწერა იყო, რომელსაც ვერავინ გაქცევია და ვერც თემური გაექცა, დარჩა ოჯახი უმამოდ. მეუღლე - მაიკო ურთმელიძე ცნობილი ინტელიგენტის ნოდარ ურთმელიძის შვილია და ფოთის რეგიონალურ ნარკოლოგიურ ცენტრში მოღვაწეობს. დაკარგა მან მზრუნველი, მოსიყვარულე მეუღლე, მას დააწვა ოჯახის სიმძიმე, რომელსაც ღირსეულად უძღვება. ღმერთის შეწევნით დაიზრდნენ შვილები და გააგრძელებენ მამის გზას და წმინდად ინახავენ მის ხსოვნას.

ის იყო ჰუმანიზმისა და პატიოსნების განსახიერება. მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა იყოს საჯრო მოხელე. თანაქალაქელებს პირადად აცნობდა საკანონმდებლო ცვლილებებს და ყოველმხრივ ეხმარებოდა დროულად რეგისტრაციაში .

ღმერთო ნათელში ამყოფე თემური ოდიშარიას სული,



მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა, სანთელ-საკმეველი არ მოკლებოდეს მის საფლავს.

მეგობრები:

## ესმა ყურაშვილის ხსოვნას



ატირდა შენი ,,ფაზის"-ქალაქი,
ცრემლის ღვარი დგას აქ არნახული,
რატომ გაირგუნა ბუნებამ კრულმა
დაუნდობელი ცივი ზაფხული.

ვაი ნანა, ავტომობილმა
რა უბედური ფეხით გატარა,
ჩასაფრებული ყოფილა შენზე
თურმე ვერაგი, შავი სატანა.

იმდღეს იმძლავრა ურჩმა სიკვდილმა,
და დაბადების დღე ჩაგიმწარა.
უძვირფასესი სიცოცხლე შენი,
ჯაჭვივით შეკრა და გაიბზარა.

გქონდა მომავლის დიდი იმედი,
თან უსასრულო ცხოვრება გსურდა,
იყავი ერის, ხალხის ერთგული,
უსამართლობა სახელად გძულდა,

შორს გაფრენილხარ ვითარც მერცხალი,
მაგრამ მერცხალი ისევ ბრუნდება,
შენი კი ლალი, ტკბილი ცხოვრება
აღარასოდეს დაგიბრუნდება.

ადრედატოვე წუთისოფელი,
გზები გქონია შორით სავალი.
სხივებს მოაფრქვევს შენს სასუფეველს,
მზე განთიადზე ამომავალი.

იძინე ტკბილად სიბრძნის ქალმერთო,
თვალზე გეფინოს მარად ნათელი.
შენი სახელი ერმა დაკარგა
დაუღალავი ქალი ქართველი.

არ დავიჯერებ, ცხოვრება შენი
ასე უდროოდ როგორ ჩამწარდა,
გემღერა ნანა შვილთა შვილისთვის
ვაი ბედგამწყრალს აღარ დაგცალდა.

გავა ზამთარი ცივი და მკაცრი,
გაზაფხულს შეცვლის ისევ ზაფხული,
ბუნება მწვანედ შეიმოსება,
შენ კი დარჩები გულდაჩაგრული.

ცოტა დრო ოქროს საგანძურია,
ოცნება შენი როგორ ტკბებოდა,
მაგრამ არასდროს არ ვიფიქრებდი,
ასე ცოტა დრო თუ გექნებოდა.

გაივლის წლები, ქარი ჩადგება,
ამ დუნიაზე დარიც იდარებს,
ღმერთი მფარველი მაღლა ზეცაში,
შენს განათებულ სულს მიიბარებს.

ცად ამაღლდები სულთსავანეში,
და გაბრწყინდები ვით მზის სხივები,
შენს ფაზის ქალაქს როგორც წმინდანი,
კვლავ ანგელოზად მოევლინები.

რამაზ ლაგვილავა.

ფოთის სახელმწიფო თეატრის
თანამშრომელი.

# სიგიჟე პარკენზე! ესპანეთმა ისევ 5 გოლი გაიტანა და მეოთხედფინალშია



კოპენჰაგენის "პარკენზე" ევრო 2020-ის მეხუთე მეოთხედფინალისტი გაირკვა - მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ხორვატიის ნაკრები ესპანეთს დაუპირისპირდა. 120-წუთიანი დაპირისპირება "ფურია როხამ" 5:3 მოიგო. ესპანეთის ნაკრები 1/4 ფინალში საფრანგეთისა და შვეიცარიის მატჩის მოგებულს შეხვდება. გულშემატკივარმა საოცარი სანახაობა იხილა - ესპანეთი კურიოზული ავტოგოლით აგებდა, თუმცა 77-ე წუთისთვის უკვე 3:1 დაწინაურდა. მიუხედავად ამისა, ხორვატებმა ორი გოლი გაიტანეს და ძირითადი დრო 3:3 დასრულდა. პირველ დამატებით ტაიმში ალვარო მორატასა და მიკელ ოიარზაბალის გოლები გადამწყვეტი გამოდგა. ბოლო მატჩის მერე ლუის ენრიკემ სასტარტო 11-ეულში ორი ცვლილება განახორციელა - ფერან ტორესმა და ხოსე გაიამ თამაში თავიდანვე დაიწყეს. ორი ცვლილება განხორციელდა ხორვატთა სასტარტო შემადგენლობაშიც - ჩალეტა-ცარი და რებიჩი დაწინაურდნენ.

მე-16 წუთზე კოკეს ანგარიშის გახსნა შეეძლო, თუმცა ლივაკოვიჩმა ფეხით მოიგერია და ხორვატიის ნაკრები აშკარა გოლისგან იხსნა. ამის შემდეგ ესპანელები ხელით თამაშისთვის პენალტს ითხოვდნენ, თუმცა ამაოდ. მე-20 წუთზე ამ ჩემპიონატზე ყველაზე კურიოზული გოლი გავიდა - პედრის პასით უნაი სიმონმა ფეხით ვერ მიიღო და ანგარიშიც გაიხსნა

"ფურია როხამ" 38-ე წუთზე ხანგრძლივი შეტევის შემდეგ გაათანაბრა, ლივაკოვიჩმა ერთხელ გადაარჩინა გუნდი, მაგრამ პაბლო სარაბიას დამატებულს ვერაფერი მოუხერხა. ტაიმი 1:1 დასრულდა.57-ე წუთზე ფერან ტორესმა მარცხნიდან მოაწოდა, სესარ ასპილიკუეტამ კი თავით აჯობა გვარდიოლს და ესპანეთის ნაკრები დააწინაურა უნაი სიმონმა პირველ ტაიმში დაშვებული შეცდომა მეორეში გამოასწორა, როცა გვარდიოლის ძალიან სახიფათო დარტყმული აიღო ახლო მანძილიდან. ამის შემდეგ ალვარო მორატამ გაიტანა, თუმცა თამაშგარე მდგომარეობიდან. 77-ე წუთზე პაუ ტორესმა მოულოდნელად სწრაფად განაახლა თამაში და შორეული პასით ფერან ტორესი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, რომელმაც ლივაკოვიჩს ფეხებს შორის გაუტანა და მატჩის ბედიც გადაწყდა. 85-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა ორშიჩმა ესპანელთა საჯარიმოში არეულობით ისარგებლა და ერთი გოლი გაქვითა, უნაი სიმონმა ბურთი კარის ხაზის შიგნიდან გამოიტანა. ხორვატებმა გათანაბრებაც შეძლეს ორშიჩის ჩაწოდებულს თავით მარიო პაშალიჩი შეწვდა - 3:3 დამატებით დროში ხორვატები უკეთ ათამაშდნენ, უნაი სიმონმა საოცარი "სეივით" გადაარჩინა კრამარიჩის დარტყმის შემდეგ. საპასუხოდ ოლმოს ჰქონდა შანსი, თუმცა ხორვატების მცველმა მას არ გაატანინა. მე-100 წუთზე დანი ოლმოს ჩაწოდებული ალვარო მორატამ ჩამოიღო და მეორე შეხებით შესანიშნავი გოლი გაიტანა. სამ წუთში ოლმომ კიდევ ერთი საგოლე პასი გააკეთა, ამჯერად, მიკელ ოიარზაბალმა გაიტანა

## განცხადება:

## ფოთის საჭადრაკო კლუბში იქმნება საზაფხულო საჭადრაკო აკადემია

მიმდინარე წლის ივლის-აგვისტოში ფოთის საჭადრაკო კლუბში იქმნება საზაფხულო საჭადრაკო აკადემია. აკადემიაში მიიღებიან ფოთის საჭადრაკო კლუბის 6-დან 10 წლამდე ასაკის მოსწავლეები.

საზაფხულო აკადემიის პროგრამა მოიცავს:

- სასწავლო-საწვრთნელ მეცადინეობებს;
- შემეცნებით აქტივობებს წიგნთან და კომპიუტერთან;
- საშეჯიბრო აქტივობებს.

საზაფხულო აკადემიის პროგრამები წარიმართება ფიდეს მწვრთნელის დათო კოდუას და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გოჩა ჩაჩუას ხელმძღვანელობით.

აკადემიაში მოსწავლეთა ჩარიცხვა მოხდება მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან გასაუბრების საფუძველზე. გასაუბრება ჩატარდება საჭადრაკო კლუბის სატურნირო დარბაზში 28 ივნისს 14:00 საათიდან.

საზაფხულო აკადემიაში სწავლება უფასოა!

კლუბის ადმინისტრაცია

## 22 ივნისს დასრულდა საქართველოს ქალთა 78-ე ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა



ქალთა 78-ე ჩემპიონატის უმაღლესი ლიგაში მონაწილეობდა საქართველოს საუკეთესო 9 მოჭადრაკე ქალი.

წარმატებულად იასპარეზა ჩემპიონატის დებიუტანტმა, 16 წლის **დიანა ლომაიამ**. მან შეძლო 1 საერთაშორისო დიდოსტატის დამარცხება, ხოლო 3 საერთაშორისო დიდოსტატთან და 1 საერთაშორისო ოსტატთან, მათ შორის საქართველოს ქალთა ეროვნული ნაკრების წევრებთან კი ფრედ დაასრულა შეხვედრები. დიანამ საბოლოოდ 43 პუნქტით მოიმატა ფიდეს რეიტინგი. დიანა გამოირჩეოდა შეუპოვარი ბრძოლის უნარიანობით და საკმაოდ მაღალი ხარისხის გათამაშებული პარტიებით.

ჩემპიონატში მონაწილე ჩვენი საჭადრაკო კლუბის მეორე მოჭადრაკე ელენე წოწონავამ მხოლოდ 1 ქულის აღება შეძლო. თუმცა ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვან ტურნირში მონაწილეობის უფლების მოპოვება თავისთავად შეიძლება წარმატებად ჩაითვალოს.

ჩვენმა გოგონებმა უდიდესი გამოცდილება მიიღეს უძლიერეს მოჭადრაკეებთან პაექრობაში და მიუხედავად ასაკისა აჩვენეს, რომ ისინი უახლოეს წლებში იქნებიან საქართველოს ქალთა ეროვნული ნაკრების კანდიდატები და იბრძოლებენ მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს ნაკრებ გუნდში მოსახვედრად.

დიანა და ელენე ჩემპიონატისთვის მოამზადეს საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა გოჩა ჩაჩუამ და საერთაშორისო დიდოსტატმა ზურაბ სტურუამ.

ჩემპიონატის ბოლო მოსამზადებელი ეტაპი ჩვენმა მოჭადრაკეებმა გაირეს ბორჯომში გამართულ შეკრებაზე.

შეკრების უზრუნველყოფისთვის უდიდეს მადლობას ვუხდით ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის სპორტის და ტურიზმის ცენტრს, მის ხელმძღვანელს ბატონ ბექა გუგუშვილს.

---

როლანდ ლაბარტყავა ოჯახით,ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს უახლოეს მეგობარს, გივი აბდუშეიშვილს, საყვარელი ძმის

**ოთარ აბდუშელიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ქ. ფოთის 1958 წლის X1დაX2 კლასების კურსდამთავრებულები და კლასის ხელმძღვანელი ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ თანაკლასელს, გივი აბდუშელიშვილს, უსაყვარლესი ძმის

**ოთარის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ილია ქვარცხავა, დალი ბოლქვაძე, ნუნუ ღაღიძე, როზა მიქავა, დუმილი ლგვილავა, იური ბოკუჩავა, სოსო დევაძე, მარლენ კუხალეიშვილი, ჯემალ ნორაკი, როლანდ ლაბარტყავა, ომარ შურღაია, დუშა ბერაია.

---

ქ. ფოთში მცხოვრები ბატონი გივი აბდუშელიშვილის უახლოესი მეგობრები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და სამძიმარს უცხადებენ ბატონ გივის, უსაყვარლესი ძმის

**ოთარ აბდუშელიშვილის**

გარდაცვალების გამო.

ილია ქვარცხავა, ომარ ხუხუნი, ვანო ნარმანია, როლანდ ლაბარტყავა.

---

მედიკო და ვანო ნარმანიები ოჯახით ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ გივი აბდუშელიშვილს, ძმის

**ოთარის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---


## განცხადება:

**იყიდება**: ორსართულიანი კაპიტალური სახლი ქალაქის ცენტრში, განაშენიანებული ეზოთი.მის:იერუსალიმის №4

ტელ: 551 499 555



## მხატვრული ხედვა, ახალი დიზაინი



*თუ გინდათ თქვენი სამუშაო ადგილი, ოფისის გარე ხედი, ინტერიერი გაალამაზოთ, მიმართეთ სარეკლამო სამსახურს. აქვე დაგიმზადებენ ველოსიპედისა და მოპედის ნომრებს.*

*თქვენს დაკვეთას შეასრულებს მხატვარ-დიზაინერი რევაზ ჭანტურია.*

*ტელ: 551 94 00 48 (რიონის სანაპირო, ბაზრის ტერიტორია)*



რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. ,,ირიდაში"

E-mail: k.khobalia@gmail.com

რედაქტორი ზ. აბრალავა